საიდ. №72291/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №43-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, მ. ბ. თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ტიფანი ენდ კომპანი”-ის (Tiffany and Company) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №43-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1736/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ნ. შ. სახელზე დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „TIFFANY” (საიდ. №72291/03) 35-ე და 43-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე და 43-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ტიფანი ენდ კომპანი” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, აპელანტი არის მფლობელი საქართველოში უფრო ადრეული პრიორიტეტით მე-9 კლასის საქონლისათვის რეგისტრირებული ეროვნული სასაქონლო ნიშნებისა №22634 TIFFANY, № 22635 TIFFANY & CO., № 22636 T & CO., აგრეთვე საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისა №536554 TIFFANY & Co, რომელიც დაცულია საქართველოში მე-14 კლასის საქონლისათვის. აპელანტის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მხოლოდ 35-ე და 43-ე კლასის მომსახურებისათვის მაინც არსებობს საფუძველი სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმისა. ნუგზარ შველიძის სახელზე განცხადებული სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია სტანდარტული ლათინური ასომთავრული შრიფტით, შესაბამისად ქართველი მოქალაქის მიერ სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მხოლოდ ლათინურ და არა ქართულ ენაზე. ამგვარი ქმედება კი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ როდესაც სადავო სასაქონლო ნიშანი გამოჩნდება საქართველოს ბაზარზე, მაგალითად, მაღაზიის აბრის სახით, ქართველი მომხმარებლის მიერ ის აღქმული იქნება როგორც არაქართული ბრენდი. უფრო მეტიც ქართველ მომხმარებელთა ის ნაწილი, რომლისთვისაც ცნობილია კომპანია „Tiffany & Company”-ს არსებობის შესახებ, საქართველოს ბაზარზე ახლად გამოჩენილ დასახელებას დაუკავშირებს აშშ-ს და არა საქართველოს. მომხმარებელთა მეორე ნაწილი კი, რომლელიც არ იცნობს კომპანია „Tiffany & Company”-ის ახალ ბრენდზე ინფორმაციის მოსაპოვებლად, სავარაუდოთ, მიმართავს ინტერნეტს სხვადასხვა საძიებო სისტემას, ამ შემთხვევაში კი პირველი შედეგი რასაც ის მიიღებს სიტყვა Tiffany-ს ძებნისას იქნება აშშ კომპანია „Tiffany & Company”. აქედან გამომდინარე, მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ შეთავაზებული მომსახურებების გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, რაც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის “თ” ქვეპუნქტის თანახმად. აპელანტის მითითებით, კომპანია „ტიფანი ენდ კომპანი” (Tiffany & Company), რომელიც ასევე ცნობილია „ტიფანის” ან „ტიფანი და კო.”-ს სახელით, წარმოადგენს ამერიკულ მულტინაციონალურ კომპანიას, რომელიც აწარმოებს და ვაჭრობს ლუქს ხარისხის ძვირფასეულობითა და სპეციალური ნივთებით, რომლის სათაო ოფისიც

მდებარეობს ნიუ იორკში. „ტიფანის” საქმიანობა მოიცავს დიზაინს, წარმოებას და გაყიდვას პირადი და საოჯახო სარგებლობის მაღალი ხარისხის ლუქს პროდუქციისა, მათ შორის ძვირფასეულობის, ვერცხლეულის, ფაიფურის, ბროლის საკანცელარიო ნივთების, პერსონალური აქსესუარების, სუნამოების, სათვალეების და ტყავის ნაწარმისა, აგრეთვე ამ პროდუქციასთან დაკავშირებული მომსახურებების შეთავაზებას. „ტიფანი” მის კუთვნილ სასაქონლო ნიშნებს “TIFFANY” იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ საქონელზე 1837 წლიდან, იმ დროიდან, როდესაც „ჩარლზ ლუის ტიფანიმ” პირველად გახსნა მაღაზია ნიუ იორკში. აღნიშნული კომპანიის საქმიანობა დაიწყო ნიუ იორკში სახელით „ტიფანი ენდ კომპანი” 1868 წელს და იგი დღემდე რჩება ნიუ იორკის შტატის კომპანიად. ტიფანის საერთაშორისო ბაზარზე ადრეული არსებობა და ცნობადობა დასტურდება იმ ფაქტით, რომ პირველი მაღაზია პარიზში გაიხსნა 1850 წელს, შემდგომ ლონდონში, 1868 წელს. ამჟამად “ტიფანის” მრავალი მაღაზია არსებობს მთელს მსოფლიოში, ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი ვებ გვერდი www.tiffany.com, რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. აპელანტის მითითებით, თვეში ათასობით მომხმარებელი სტუმრობს აღნიშნულ ვებ გვერდს, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კომპანია „ტიფანისა” და მის ვებ გვერდს იცნობენ მთელს მსოფლიოში. კომპანია „ტიფანის” გააჩნია მაღაზიები მთელს მსოფლიოში, მათ შორის აზერბაიჯანში, პეკინში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჰონგ კონგში, იტალიაში, ყაზახეთში, რუსეთის ფედერაციაში, თურქეთში, უკრაინაში, გაერთიანებულ საემიროებში და სხვა. ტიფანის სასაქონლო ნიშნები მსოფლიოს ყველაზე ცნობილ სასაქონლო ნიშნებს შორის მოიაზრება, მისი სასაქონლო ნიშნები აღიარებულია საყოველთაოდ ცნობილად სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის სხვადასხვა ხელშეკრულებების საფუძველზე. აპელანტის პოზიციით, სადავო სასაქონლო ნიშანი აღრევის შესაძლებლობამდეა მსგავსია მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნებისა „TIFFANY”. სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და გამოყენება კი დაარღვევს რეგისტრირებული ნიშნების მფლობელის უფლებებს სასაქონლო ნიშნაზე და დაასუსტებს სასაქონლო ნიშნების „TIFFANY” დაცვას საქართველოში. აპელანტის განმარტებით, მისი სასაქონლო ნიშნები დაცულია ისეთი პროდუქციისათვის, როგორიცაა

ძვირფასეულობა, შარფები და ჰალსტუხები, საოჯახო ნივთები, სამუშაო მაგიდის აქსესუარები, ტყავის ყუთები, საკანცელარიო ნივთები და საწერი ინსტრუმენტები, სუნამოები და პერსონალური აქსესუარები (ხელჩანთები, საფულეები, საქაღალდე ჩანთები და ბარათების ჩასადებები), რომელთათვისაც ტიფანის გააჩნია უფრო ადრეული უფლებები საქართველოში და ასევე მთელს მსოფლიოში. აღნიშნული უფლებები წარმოშობილია ტიფანის მიერ თავისი სასაქონლო ნიშნებისა და კომპანიის დასახელების უფრო ადრეული გამოყენებითა და კარგი რეპუტაციით მთელს მსოფლიოში. „ტიფანის" სასაქონლო ნიშნებისა და მისი სახელის კარგი რეპუტაციის გათვალისწინებით, როდესაც მომხმარებელი აღმოაჩენს ახალ სასაქონლო ნიშანს ბაზარზე „TIFFANY" შეცდომით ივარაუდებს, რომ ახალ ნიშანს აქვს კავშირი აპელანტ კომპანიასთან „TIFFANY". აპელანტის პოზიციით, მისი გადაწყვეტილება შეეტანა განაცხადი სასაქონლო ნიშნისათვის „TIFFANY" არ ყოფილა შემთხვევითი, არამედ გამიზნულია იმისათვის, რომ გამოეყენებინა „TIFFANY"-ს სასაქონლო ნიშნებისა და დასახელების კარგი რეპუტაცია და შეეყვანა მომხმარებელი შეცდომაში. კომპანია ტიფანის ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორია განუყოფლადაა დაკავშირებული მომხმარებლისათვის მის სასაქონლო ნიშნებთან. კომპანია „ტიფანის" ტრადიციები და მისი ბიზნესის წარმატება თანდათან ვითარდებოდა გასული 175 წლის მანძილზე, კომპანიის ამხელა ისტორია კი პირდაპირ არის დაკავშირებული ტიფანის პროდუქციისა და მომსახურების ხარისხთან, რომლის გამოყენებასაც ცდილობს სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელი. კომპანია „ტიფანის" კარგი რეპუტაცია დადასტურებულია იმ ფაქტით, რომ მისი სასაქონლო ნიშნები „TIFFANY" აღიარებულია საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდში. აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღება იწყება 1992 წლიდან და გრძელდება დღემდე. სხვა ქვეყნებთან ერთად გადაწყვეტილებები მიღებულია: ბრაზილიაში, ჩინეთში, კვიპროსში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ეკვადორში, ესტონეთში, ევროკავშირში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, იაპონიაში, კორეაში, პარაგვაიში, პერუში, ფილიპინებში, სინგაპურში, შვედეთში, თურქეთში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, ურუგვაიში, ვენესუელაში და რუსეთის ფედერაციაში. „ტიფანი" ყიდის მის პროდუქციას სასაქონლო ნიშნით „TIFFANY" დამოუკიდებელი დისტრიბუტორების მეშვეობით ან მის კუთვნილ მაღაზიებში

მთელს მსოფლიოში, მათ შორის ისეთ ქვეყნებში როგორიცაა რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული საემიროები და აზერბაიჯანი. „ტიფანის" საერთაშორისო მაღაზიები და დისტრიბუტორები ახდენენ ტიფანის პროდუქციის ნიშნით „TIFFANY" რეკლამირებას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, როგორიცაა Elle, Forbes, Harper's Bazaar, InStyle, The New Yorker and Vogue. უმრავლესობა ჩამოთვლილი გამოცემებისა იყიდება აგრეთვე საქართველოშიც. უფრო მეტიც ტიფანის პროდუქცია კარგად არის ცნობილი პირებისთვის, რომლებიც მოგზაურობენ, რადგან პროდუქციის TIFFANY რეკლამირება ხდება ფრენის დროს გავრცელებული რეკლამებისა და ჟურნალ გაზეთების მეშვეობით. „TIFFANY"-ს, როგორც სასაქონლო ნიშანს ისე ლუქს პროდუქციის მწარმოებელს პირველი საერთაშორისო პოპულარობა მოუტანა კინოფილმმა "საუზმე ტიფანისთან" (Breakfast at Tiffany's). ასოციაცია კომპანია „ტიფანისა" და ფილმს შორის, ასევე კავშირი ტრუმენ კაპოტესთან, რომლის ნოველაზეც არის დაფუძნებული ფილმი წლების განმავლობაში გამოიყენება „TIFFANY"-ს ნიუ იორკის მაღაზიის რეკლამირებისას. ფილმის პრემიერა მოხდა 1961 წელს, ფილმმა მოიპოვა რამოდენიმე ოსკარი, ფილმის ტრანსლაცია ახლაც ხშირად ხდება სხვადასხვა ტელეარხებით მათ შორის საქართველოშიც და ფილმი აღიარებულია კინო ეკრანის კლასიკად. ფილმის გადაცემა ხშირად ხდება საქართველოს ტელეარხების მეშვეობით და ძალზედ პოპულარულია ქართველ მაყურებელში. უფრო მეტიც, კომპანია TIFFANY იყო ოფიციალური იუველირი ბაზ ლურმანის ფილმისათვის "დიდი გეთსბი" (Great Gatsby), რომელიც გადაღებულია ფ.ს. ფიცჯერალდის კლასიკური რომანის მიხედვით და ეკრანებზე გამოვიდა 2013 წელს. გარდა ძვირფასეულობისა ფილმში გამოყენებული იქნა „TIFFANY"-ს ფაიფურის კოლექცია, ვერცხლეული და სახლის სხვა აქსესუარები. ფილმი გამოვიდა საქართველოს კინოთეატრებში 2013 წლის მაისში და რამოდენიმე კვირის მანძილზე ხდებოდა მისი ჩვენება. შემდგომში კი ფილმის "დიდი გეთსბი" გადაცემა მრავალჯერ მოხდა და კვლავაც გრძელდება საქართველოს ტელეარხების მეშვეობით. ფილმი, ისევე როგორც ფიცჯერალდის რომანი ძალზედ პოპულარულია ქართველ მომხმარებელში. აპელანტის მითითებით, ტიფანის პროდუქცია გამოყენებულია მრავალ საერთაშორისო ცნობადობის მქონე ფილმში

1953 -2013 წლებში. კომპანია „TIFFANY”-ს და სასაქონლო ნიშნების „TIFFANY” რეპუტაცია გავრცელდა მთელს მსოფლიოში და ამაღლდა აგრეთვე იმ ჯილდოებისა და ექსკლუზიური პატივის გამო რომელიც კომპანიას ხვდა წილად (მაგალითად, ტიფანის მიერ შესრულებულ იქნა გრავირება ერთ დოლარიანებზე). აგრეთვე კომპანიას ერგო პატივი დაემზადებინა მედლები და ჯილდოები საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებებისათვის, რომლებიც მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. 1860 წელს კომპანია „ტიფანის” ერგო პატივი დაემზადებინა „ვუდლოვნ ვეიზი” (Woodlawn Vase) ვუდლოვნ რეისინგ ასოციაციისათვის ლუისვილში, კენტუკი. ვუდლოვნ ვეიზის გადაცემა ამჟამადაც ხდება ყოველწლიურად პრიკნესის დოღის გამარჯვებულისათვის, რომელიც ითვლება ამერიკული სპორტის ერთ ერთ უმთავრეს ჯილდოდ. 1867 წელს კომპანია ტიფანი იყო პირველი ამერიკული კომპანია რომელმაც მოიგო ტიტული პარიზის უნივერსალურ გამოფენაზე საუკეთესო ვერცხლეულის ნაწარმისათვის. ამის შემდგომ კომპანიამ მრავალი საერთაშორისო გამოფენის ჯილდო მიიღო, მათ შორისო პარიზის გამოფენაზე 1887, 1889 და 1890 წლებში. სხვა ჯილდოებთან ერთად ტიფანის შექმნილი აქვს NBA ჯილდო, ამერიკის ჰოკეის ასოციაციის ჯილდო, ფეხბურთის ასოციაციის, ჩოგბურთის ასოციაციის ჯილდოები. ტიფანიმ შექმნა და დაამზადა 1980 წლის ზამთრის ოლიმპიადის მედლები, რომელიც ჩატარდა ლეიკ პლესიდში, 1991 წელს შექმნა და დაამზადა იახტების შეჯიბრის მსოფლიო ჩემპიონატის თასი. ასევე ტიფანის სხვადასხვა პერიოდში შექმნილი აქვს ჯილდოები ბეისბოლის შეჯიბრებისათვის. ყველა ზემოთ აღნიშნულ სპორტულ შეჯიბრს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მთელს მსოფლიოში. შესაბამისად, იმ მომხმარებელმაც კი, რომელსაც არ ჰქონია შესაძლებლობა სწვეოდა ტიფანის მაღაზიებს იცის სასაქონლო ნიშნის „TIFFANY” შესახებ, რეკლამირების მეშვეობით, როგორიცაა ჟურნალ გაზეთებში გამოქვეყნება, ფრენის დროს რეკლამის ტრანსლირება, სპორტული ღონისძიებები, გამოფენები, ჯილდოები, ფილმები და სხვა. აპელანტის განმარტებით, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, განმცხადებლის მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია და გამოყენება შეუქმნის ქართველ მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას მომსახურებების შესახებ, ქართველი მომხმარებელი შეთავაზებულ მომსახურებებს დაუკავშირებს კომპანია „TIFFANY”-ს და ჩათვლის, რომ

შეთავაზებული მომსახურებები უკავშირდება ცნობილ ამერიკულ კომპანიას, მის ლიცენზიატს, დისტრიბუტორს ან ფილიალს. განმცხადებლის მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის გამოყენება დაუმსახურებლად შეუქმნის მას ხელსაყრელ პირობებს ბაზარზე და საშუალებას მისცემს ისარგებლოს კომპანია „TIFFANY"-ის სახელითა და კარგი რეპუტაციით. აპელანტის პოზიციით, საქპატენტის სააპელაციო პალატამ უარი უნდა თქვას ისეთი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე, რომლებიც კარგი რეპუტაციის სასაქონლო ნიშნების მსგასია, ასევე ისეთი სასაქონლო ნიშნების მსგავსია, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია მთელს მსოფლიოში და არსებობს ალბათობა იმისა, რომ მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი საქონლისა და მომსახურების წარმოშობის მიმართ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1736/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც ნუგზარ შველიძის სახელზე დარეგისტრირდა საქართველოში სასაქონლო ნიშანი „TIFFANY" (საიდ. №72291/03) 35-ე და 43-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

მოწინააღმდეგე მხარე ნ. შ. არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოიგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის 2013 წლის 06 დეკემბრის №1736/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ და სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის 2013 წლის 05 დეკემბრის არსობრივი ექსპერტიზის დასკვნა №72291/03 განაცხადთან დაკავშირებით გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლით გათვალისწინებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, საქპატენტის 11.07.2013 წლის №გ-146 წერილით დადგენილი და დადასტურებულია, რომ სასაქონლო ნიშანი „TIFFANY" 35-ე და 43-ე კლასების მომსახურებისათვის დასარეგისტრირებლად (35-ე კლასი – რეკლამა, მართვა საქმიან სფეროში და 43-ე კლასი საკვები პროდუქტებით და სასმელებით უზრუნველყოფა) მიღებულ იქნა განსახილველად და კანონმდებლობით

გათვალისწინებული ყველა პროცედურის დაცვით გაიარა როგორც ფორმალური, ასევე არსობრივი ექსპერტიზა და გამოქვეყნდა ბიულეტენში. მოწინააღმდეგე მხარის პოზიციით, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის 2013 წლის 05 დეკემბრის არსობრივი ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც შედგენილია №72291/03 განაცხადთან დაკავშირებით დადგენილი და დადასტურებულია, რომ ჩატარდა ძიება ნიშნის ნაწილზე „TIFFANY" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების მონაცემთა ბაზასა და „სამრეწველო საკუთრების პარიზის კონვენციის" 6 ტერ მუხლით დაცულ სიმბოლოთა ბაზაში. ძიების ანალიზის შედეგად იდენტური ან მსგავსი სიტყვიერი ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა ან 6 ტერ მუხლით დაცული სიტყვიერი სიმბოლო არ აღმოჩნდა. ექსპერტმა ასევე წარდგენილი გამოსახულების მიხედვით ჩაატარა ძიება სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში, დიზაინის მონაცემთა ბაზასა და „სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის" 6 ტერ მუხლით დაცულ სიმბოლოთა ბაზაში და დაასკვნა, რომ არ არსებობს ნიშნის რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული უარის თქმის საფუძვლები და მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ნიშნის რეგისტრაციის შესახებ 35-ე და 43-ე კლასებით განცხადებული მომსახურების სრული ჩამონათვალის მიმართ. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის 2013 წლის 05 დეკემბრის არსობრივი ექსპრეტიზის დასკვნის, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" თავმჯდომარის 2013 წლის 03 იანვრის №1 ბრძანების პირველი პუნქტის, სზაკ-ის 52-ე მუხლის, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის საფუძველზე საქპატენტის მიერ 2013 წლის 06 დეკემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება №1736/03 ბრძანება ფიზიკური პირის ნუგზარ შველიძის სასაქონლო ნიშნის (საიდ. №72291/03) რეგისტრაციის შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, აპელანტი მხარის მიერ წარმოდგენილი მასალები არ არის საფუძველი სასაქონლო ნიშნის „TIFFANY" საქართველოში რეგისტრაციაზე უარის თქმისა 35-ე და 43-ე კლასების მომსახურებისათვის, რადგან თვითონ აპელანტი მხარე არის მფლობელი მხოლოდ

მე-9 და მე-14 კლასის საქონლისათვის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა, რომლითაც სრულიად განსხვავებული საქონელი არის დაცული. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, აღნიშნული სასაქონლო ნიშნის ლათინურად დარეგისტრირების შემდეგ ავტომატურად მოხდება მისი განთავსება აბრაზე ქართულად, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა და არავითარ შემთხვევაში, როგორც მაღაზიის აბრა, როგორც აპელანტი მიუთითებს, არამედ, როგორც რესტორნის/ ბარის დასახელება, კერძოდ „TIFFANY BAR" „ტიფანი ბარი". საძიებო სისტემაში ინფორმაციის შეყვანის თანავე მომხმარებელი მიიღებს შედეგს, კერძოდ ინფორმაციას მხოლოდ საქართველოში არსებულ რესტორანზე/ბარზე, რომელიც უკვე გახსნილია ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი კომპანიის, ძალიან სოლიდური სასტუმროს „რივერსაიდ თბილისის" პირველ სართულზე და უმაღლესი კლასის სერვისის უნიკალური დიზაინის და სასიამოვნო გარემოს გამო უკვე დაიმსახურა თბილისის მოსახლეობის ახალგაზრდული ნაწილის დიდი აღფრთოვანება. მომხმარებლის მიერ რაიმე სახის აღრევა ამერიკულ ბრენდთან „ტიფანი & კომპანი" ან მომხმარბლის შეცდომაში შეყვანა მომსაურების გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის თვისების მიმართ გამორიცხულია და ადგილი ვერ ექნება. მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, „ტიფანი & კომპანი", რომლის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ლუქს პროდუქციის კერძოდ ძვრიფასეულობის ვერცხლეულის და ა.შ გაყიდვას საერთოდ არ არის წამოდგენილი საქართველოში რაიმე მაღაზიით ან რაიმე წარმომადგენლობითი გაყიდვების თუ რაიმე ნებისმიერი საწარმოს სახით ოფისით ან დაწესებულებით, რომ რაიმე სახის აღრევა გამოიწვიოს. მოწინააღმდეგე მხარე ასევე არ იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასაქონლო ნიშანი „TIFFANY" რეგისტრაცია 35-ე და 43-ე კლასების მომსახურების მიმართ არღვევს აპელანტის „ტიფანი & კომპანის" უფლებას მის სასაქონლო ნიშანზე, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით აპელანტის სასაქონლო ნიშნები დაცულია მხოლოდ მე-9 და მე-14 კლასში, რაც გულისხმობს ისეთ პროდუქციას როგორიცაა ძვირფასეულობა, შარფები და ჰალსტუხები, რაც განსხვავდება 35-ე და 43-ე კლასში შემავალი მომსახურებისაგან. მოწინააღმდგე მხარის მითითებით, „ტიფანი ბარი" საკმაოდ კარგი რეპუტაციით და ცნობადობით სარგებლობს ქალაქ თბილისში, შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის

შესაძლებლობა „ტიფანი & კომპანი”-ის სასაქონლო ნიშნებთან შეუძლებელია. სააპელაციო საჩივრის განხილვისას, მოწინააღმდეგე მხარემ დააყენა შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, იმ საფუძვლით, რომ გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის 3 თვიანი ვადა, რადგან საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1999 წლის 23 აგვისტოს №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, გაასაჩივროს არსობრივი ექსპერტიზის გადაწყვეტილება და გადაწვეტილების გამოტანის დღიდან 3 თვის ვადაში შეიტანოს საჩივარი სააპელაციო პალატაში.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იმსჯელა აღნიშნულთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მოტივით, რომ დარღვეულია ამ კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნები”. სასაქონლო ნიშნის „TIFFANY” რეგისტრაციის შესახებ მონაცემები გამოქვეყნდა საქპატენტის ოფიციალურ ბიულეტენში 2013 წლის 25 დეკემბერს, ხოლო აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარმოადგინა 2014 წლის 25 მარტს, შესაბამისად აპელანტის მიერ ადგილი არ ჰქონია სააპელაციო საჩივრის წარდგენის სამ თვიანი ვადის დარღვევას.

ამასთან, საქმის ზეპირის მოსმენის დროს მოწინააღმდეგე მხარემ გამოთქვა სურვილი შეზღუდოს რეგისტრირებული მომსახურების ჩამონათვალი 35-ე კლასში შემდეგზე: „რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში, ადმინისტრირება საქმიან სფეროში, დაკავშირებული საკვები პროდუქტებით, სასმელებით და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან”.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, შესაგებელი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ისეთი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია, და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა".

კოლეგია ნაწილობრივ იზიარებს აპელანტის მიერ წარმოდგენილ პოზიციას და მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშანი „TIFFANY" (საიდ. №72291/03) რეგისტრირებულია 35-ე კლასის შემდეგი მომსახურების მიმართ: „რეკლამა; მართვა საქმიან სფეროში; ადმინისტრირება საქმიან სფეროში; საოფისე სამსახური", ასევე სადავო სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 43-ე კლასის შემდეგი მომსახურების მიმართ: „საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა". ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „TIFFANY & CO." (საიდ. №62624); „TIFFANY" (საიდ. №62623/03) რეგისტრირებულია მე-9 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა მოწყობილობებთან, ხოლო მესამე დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „TIFFANY & Co" (IR 536554) დაცვა აქვს მინიჭებული საქართველოში მე-14 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებულ აქსესუარებთან. მართალია, სადავო სასაქონლო ნიშნის „TIFFANY" 35-ე და 43-ე კლასის მომსახურებებს არავითარი კავშირი არ აქვს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალთან, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ აპელანტი

კომპანია „ტიფანი & კო” და მისი კუთვნილი ნიშნები საკმაოდ დიდი ცნობადობით და კარგი რეპუტაციით სარგებლობს თითქმის მთელს მსოფლიოში და 35-ე კლასი, როგორც წესი უკავშირდება ისეთ მომსახურებებს, რომელსაც ახორციელებს ნიშნის მფლობელები საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისათვის, რეალიზაციისათვის და ა.შ. აქედან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ განცხადებული 35-ე კლასის მომსახურება უნდა შეიზღუდოს შემდეგი სახით: „რეკლამა დაკავშირებული საკვები პროდუქტებით, სასმელებით და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან, საცალო და საბითუმო ვაჭრობის გარდა”.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ნაწილობრივ ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” და „ზ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „TIFFANY” (საიდ. №72291/03) რეგისტრაციაზე ნაწილობრივ უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ტიფანი ენდ კომპანი”-ის (Tiffany and Company) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 06 დეკემბრის №1736/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანი

„TIFFANY” (საიდ. №72291/03) დარეგისტრირდა საქართველოში 35-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. სასაქონლო ნიშანი „TIFFANY” (საიდ. №72291/03) დარეგისტრირდეს საქართველოში 35-ე კლასის შემდეგი მომსახურების მიმართ: „რეკლამა დაკავშირებული საკვები პროდუქტებით, სასმელებით და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან, საცალო და საბითუმო ვაჭრობის გარდა”.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ე.
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	მ. ბ.